

# CURRICULUM VITAE

# გურამ ფალავანდიშვილი

## სამუშაო გამოცდილება

| | |
|---|---|
| 1993 - დღემდე | უძრავი ქონების კომპანია ერდო.<br>პოზიცია – პრეზიდენტი/თანახელმძღვანელი. |
| **1999-2002** | საქართველოს უძრავი ქონების ასოციაცია (GREA).<br>პოზიცია – პრეზიდენტი. |
| 1992 | ქ. თელავის საჯარო I, III და IV სკოლები.<br>პოზიცია – რელიგიის პედაგოგი. |
| 1992 | ქ. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი.<br>პოზიცია – ქართული ლიტერატური ლექტორი. |
| 1985 | თბილისის გურამ რამიშვილის 46-ე საჯარო სკოლა.<br>პოზიცია – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. |

## განათლება

| | |
|---|---|
| 1991-1992 | მოსკოვის კინომატოგრაფიის ინსტიტუტი. |
| 1979-1984 | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.<br>სპეციალობა - ქართული ენა და ლიტერატურა. |
| 1969-1979 | ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა. |

სამოტივაციო წერილი

ჩემი მოტივაციაა, რომ შევძლო პირველი არხის სარედაქციო პოლიტიკა ემსახურებოდეს ზნეობის, ქართული ღირსეული ტრადიციების და ზოგადსაკაცობრიო იდეალების დაცვას, ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებას.

რაც შეეხება იმ მოტივებს თუ რატომ ვთვლი თავს პირველი არხის გენ. დირექტორის შესაფერისს კანდიდატურად, შემდეგია:

1. წარჩინებით მაქვს დამთავრებული ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტი ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით, იმ დროს როდესაც უნივერსიტეტში მრავლად ასწავლიდნენ ღვაწლმოსილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.
2. მაქვს პედაგოგიური გამოცდილება, ვასწავლიდი თბილისისა და თელავის საჯარო სკოლებში და აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელშიც.
3. 23 წელია ვხელმძღვანელობ უძრავი ქონების კომპანიას, სადაც ბოლო 10 წელია ერთბაშად დასაქმებულთა რაოდენობა 20-დან 60 კაცამდე მერყეობს.
4. ვეუფლებოდი სარეჟისორო უნარებს მოსკოვში „ვგიკ“-ში, იმ ინსტიტუში სადაც დახელოვდნენ მთელს მსოფლიოში განთქმული ქართული კინოს მოღვაწეები.
5. მიმყავდა საავტორო ყოველკვირეული თოქ შოუ „პალიტრა ნიუსის“ ეთერში.
6. არ ვარ ჭაბუკურ ასაკში და შესაბამისად მაქვს ცხოვრებისეული გამოცდილებაც.
7. ვთვლი, რომ ის ხალხი ვინც საქართველოში ადრეც და დღესაც, მერკანტილური მიზნების გარეშე, გულწრფელად იბრძვის ზნეობის, ღირსების და ზოგადსაკაცობრიო იდეალების დასაცავად, თავიანთი გუნდის წევრად მთვლის.

პატივისცემით,
გურამ ფალავანდიშვილი.

P.S.
მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით ტრამპის არჩევის მერე, მთელს მსოფლიოში გაჩნდა შეგრძნება, რომ ლიბერალიზმის იდეოლოგია დამარცხდა და ბოლო დღეებს ითვლის, მე მაინც მიმაჩნია, რომ ახალი უკეთესი დირექტივების მოლოდინი არასწორია

და ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, თუ ჩვენი მომავლისთვის ბრძოლა მუდმივ რეჟიმში, ყოველწუთიერად აუცილებელი და გადაუდებელია...